ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13252242**

თარიღი:**12/08/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ. დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-6 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით - აღნაგობის ფორმით, 5 წლის ვადით, გადასცეს სსიპ -„საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ - ს, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორია, კერძოდ, ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ ხეოთში მდებარე 3480,00კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 62.11.58.472), სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეოთის საჯარო სკოლის ახალი შენობის აშენების მიზნით.

საფუძველი - სსიპ - „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ - ს 2025 წლის 08 აგვისტოს N04-1225220132-12 (06.08.2025წ NMES 2 25 0000958107) მომართვა.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი